ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
№–17

2022 წელი; 3 ნოემბერი; 14:00 სთ. ქ. თბილისი;

თავისუფლების მოედანი N2

სხდომას ესწრებოდნენ:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ლევან ჟორჟოლიანი (თავმჯდომარე)
გიორგი ჩაკვეტაძე
ნინო რუხაძე
ავთანდილ ცინცაძე
აკაკი ალადაშვილი
ზაზა თავაძე
გიორგი ონიანი

სხდომის თავმჯდომარე:
ლევან ჟორჟოლიანი

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის
უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე

<u>დღის წესრიგი</u>

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიათა შემადგენლობის ცვლილების თაობაზე საკითხი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ - **ლევან ჟორჟოლიანმა,** კომისიების გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს აცნობა, რომ მ/წლის 10 ოქტომბერს ქალაქ თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს"-ს თავმჯდომარემ ოთარ გრიგოლიამ შესაბამისი წერილით მომართა ამავე საკრებულოს თავმჯდომარეს და იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარეს. განცხადებას თან ერთვის ფრაქციის მ/წლის 10 ოქტომბრის სხდომის ოქმი №23, რომლის თანახმადაც ფრაქციის წვრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი **მარიამ ზაქარიაშვილის** ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის შემადგენლობის დატოვებისა და **სატრანსპორტო კომისიაში გაწევრიანების საკითხს.**

ამასთან, **ლევან ჟორჟოლიანის** თქმით, მ/წლის 2 ნოემბერს ქალაქ თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს"-ს თავმჯდომარემ ოთარ გრიგოლიამ შესაბამისი წერილით მომართა ამავე საკრებულოს თავმჯდომარეს და იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარეს. წერილზე თანდართული ფრაქციის 2 ნოემბრის N24 ოქმის თანახმად, ფრაქციის წვრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი **კახაბერ ლაბუჩიძის** მიერ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის დატოვებისა და **იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიაში გაწევრიანების საკითხს.**

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად გადაწყვიტეს, რომ დაცულია ფრაქციების მიერ კომისიებში წევრის წარდგენის წესი და წარმოდგენილი ცვლილებები შეესაბამება საკრებულოს ბიუროს მიერ დამტკიცებულ კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტებს. შესაბამისად, კომისია დანართის სახით წარმოადგენს ზემოაღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიათა პერსონალურ შემადგენლობას, რომელიც ცნობის სახით უნდა მიიღოს ამავე საკრებულოს ბიურომ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე		ლევან ჟორჟოლიანი
სხდომის მდივანი		ნინო ჯალაღანია